

საქართველოს კანონი

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997, გვ. 32) მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს სახელით დებს უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებებს საგადასახადო და საბაჟო სფეროში თანამშრომლობის თაობაზე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი